სომხეთში უკვე საქართველოსთან ომის შესაძლო სცენარები იწერება!!!

შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სააკაშვილის რეჟიმის წყალობით, ჩვენი ქვეყანა იმ ტორტს დაემსგავსა, რომელსაც, ვისაც არ ეზარება და მადაზეა, ყველა ინაწილებს. ამჯერად, ჩვენი მეზობლის — სომხეთის აპეტიტებზე მოგახსენებთ.

რა აზრები მწიფდება იმათ თავებში, ვინც სააკაშვილს სომხური ღირსების ორდენიც ჩამოჰკიდეს და ერევნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობაც უბოძეს!

საერთაშორისო ასპარეზზე აშკარად „დაბრაკულმა“ მიხეილ სააკაშვილმა, როგორც იქნა, მოიცალა და საქართველოში დაიწყო აღმა-დაღმა სიარული. დადის ჩვენი მიშა და ხალხს აბრუებს ათასგვარი ტყუილებით.

ეს ზაფხული ისე გავიდა, მიხეილ სააკაშვილმა უცხოეთში ვერსად გაშალა ფრთები, თუ მის ერევნულ ვიზიტს არ ჩავთვლით.

დიახ, **უცხოელებისგან მოძულებულმა მიშამ 24 ივნისს ერევანში გაილაღა და უამრავი თავსატეხიც გაუჩინა ქართველობას — მას ერევანში სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ღირსების ორდენი ჩამოჰკიდა, ერევნის უნივერსიტეტში კი საპატიო დოქტორის ტიტული უბოძეს.**

6—12 ივლისის (№27) „ასავალ-დასავალში“, სტატიაში — **„რა ყულფში გაყო თავი ერევანში ჩასულმა სააკაშვილმა“,** თქვენი მონა-მორჩილი ვწერდი:

„დღესდღეისობით, სომხეთი, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სააკაშვილს ღირსებას შეუქებენ და პროფესორად წარმოაჩენენ! ფაქტია, ამას ვერც თავად გაჭირვებული ვიქტორ იუშჩენკო გაბედავდა და ვერც — პოლონელთა მიერ მოძულებული პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი!

ამიტომაცაა, რომ საქართველოში დიდი თუ პატარა შიშნარევი ინტერესით კითხულობს, რა დამსახურებისთვის ჩაიხუტეს ჩვენმა სომეხმა ძმებმა გულში მიხეილ სააკაშვილი“.

ჰოდა, ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩვენი შიში აღმოჩნდა საფუძვლიანი.

1 სექტემბერს სომხური მედიით გავრცელდა ორი ინფორმაცია, რომლებიც საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს და ერთგვარად ხსნის კიდეც ერევნის მიერ სააკაშვილის გულში ჩაკვრა-ჩახუტებას.

სომხური **„ნოვოსტი არმენიი“** ავრცელებს სომხეთის პრეზიდენტის **სერჟ სარქისიანის** განცხადებას, რომელშიც ვკითხულობთ:

„საქართველოსთან უმაღლეს დონეზე გრძელდება პოლიტიკური დიალოგი. კერძოდ, ამ მომენტისთვის აქტიურად ხორციელდება გიუმრი-ახალციხე-ბავრა-ბათუმის ავტომაგისტრალის პროექტი, რომლის დასრულება მნიშვნელოვანწილად გააიოლებს ტვირთების გადაზიდვას სომხეთიდან შავიზღვისპირეთისკენ და პირიქით...

ჩვენ უნდა გავწიოთ სერიოზული ძალისხმევა, რათა გვერდში ამოვუდგეთ საქართველოში მცხოვრებ სომხებს. ჩვენი პოლიტიკის ლოგიკა ჯავახეთთან მიმართებაში უნდა გამომდინარეობდეს პრინციპიდან „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“...

მივიჩნევ, რომ საქართველოს მიერ სომხური ენის რეგიონულ ენად აღიარება, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის რეგისტრაციაში გატარება, სომხური ძეგლების შენარჩუნება მხოლოდ წაადგება სომხურ-ქართული მეგობრობისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს გაღრმავებას.

ყველა ამ საკითხში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ფაქიზად, მაგრამ იმავდროულად, თანმიმდევრულად და პრინციპულად“.

ანუ **მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც სომხეთს შავი ზღვისკენ „ახალციხა-ბათუმის“ გზა გაუხსნა, ახლა „ჯავახეთში“ სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებისკენ მოუწოდებენ!**

რაც შეეხება სომხურად გამოცხადებული ქართული ეკლესიების ეჩმიაძინისთვის გადაცემას, ეს უკვე იმდენად ძველი სიმღერაა, რომ გახსენებაც აღარ ღირს!

მოკლედ, **სააკაშვილს ერევანში ღირსების ორდენის ყულფში გააყოფინეს თავი და ახლა „ვალების დაბრუნებას“ სთხოვენ!**

2009 წლის 24 ივნისი. სერჟ სარქისიანი ორდენის ყულფს აცვამს მიხეილ სააკაშვილს

•

იმავე დღეს სომხურმა **„ლრაგირმა“** გამოაქვეყნა ანალიტიკოს **იგორ მურადიანის** სტატია, სენსაციური სათაურით: **„ქართულ-სომხური სამხედრო კონფლიქტის ფაქტორები და სცენარები“.**

არა, ბატონებო, ეს სტატია 1918 წლის საქართველო-სომხეთის ომის პერიპეტიებზე არ დაწერილა. ის დღევანდელ რეალობას ასახავს და მოვლენათა განვითარების ერთგვარ პროგნოზს წარმოადგენს:

„სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების უახლოესი პერსპექტივები სავსებით ნათელია და ეჭვგარეშეა, რომ რუსეთი სულაც არ იქნება-და სომხეთის საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტში ჩაბმის წინააღმდეგი. რუსეთის გენშტაბსა და, შესაბამისად, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმით, რომ სომხეთსა და საქართველოს მეტნაკლებად მასშტაბური სამხედრო კონფლიქტისას სომხეთის შეიარაღებული ძალები უმტკივნეულოდ მოახდენენ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ქართული ტერიტორიების ოკუპაციას. შესაძლოა, კონტროლი დაწესდეს უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციებზეც. ყოველ შემთხვევაში, სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი და სხვა რეგიონები ხანგრძლივი დროით და შესაძლოა, სამარადჟამოდაც გადავიდნენ სომხეთის მფლობელობაში. ამასთან, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველო აგრესორად წარმოჩინდეს და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარონ აგრესორად.

შემდგომი ნაბიჯი — ქართული სახელმწიფოებრიობის აფეთქება ან სავალალო ტრანსფორმაციაა. რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების კონტროლის გაუქმება „ამერიკულ დერეფანზე“ და საქართველოს შავიზღვისპირა პორტებზე...“

აი, ასეთი გეგმები მწიფდება იმათ თავებში, ვინც მიხეილ სააკაშვილს ღირსების ორდენიც ჩამოჰკიდეს და ერევნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობაც უბოძეს!

იმედია, აგვისტოს ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, აღარავინ იკითხავს, **კი მაგრამ, საქართველო-სომხეთის ომში საქართველო როგორ წარმოჩნდება აგრესორადო?**

თუ ჯავახეთის მოსახლეობა, რომელიც სომხურის რეგიონულ ენად გამოცხადების მოლოდინშია და სომხეთის ხელისუფლების „თანმიმდევრული და პრინციპული პოლიტიკისა“ ეიმედება, ანუ, ფაქტობრივად, ავტონომიაზე მეტს ელის, მოაწყობს შესაბამის პროვოკაციებს, ვინ გამორიცხავს, რომ მიხეილ სააკაშვილი იქაც რეაქტიული დანადგარებით არ მოინდომებს „კონსტიტუციური წესრიგის“ აღდგენას?

ამდენად, კითხვა — **„რა ყულფში გაყო თავი ერევანში ჩასულმა სააკაშვილმა“** — ოფიციალური ერევნის ზემოხსენებული გეგმების შუქზე იმდენად რიტორიკულად ჟღერს, რომ მეტი არ შეიძლება!

ვინ იტყვის გულდაჯერებით, რომ რუსეთისათვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩამბარებელი მიხეილ სააკაშვილი ახლა უკვე ჯავახეთის სომხეთისთვის გადაბარებაზეც არ მუშაობს?!

გიორგი გიგაური

მსახიობის თვალით

ჩემს სამშობლოში მასპინძელი მე უნდა ვიყო!

დასაწყისი მე-6 გვერდზე

შესანიშნავი მსახიობის პოზიციას ქსენოფობია უწოდა.

თაკო აბაშიძე: — ბატონმა **ნოდარ ლადარიამ** ჩემი საუბრიდან სწორი აზრი ვერ გამოიტანა. მე სომხების სტუმრობამ კი არ გამაღიზიანა ქობულეთში, არამედ მათმა მასპინძლობამ! იქ ვნახე ადამიანები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე ქირაობენ ბინებს და შემდეგ ისეთ ფასებში აქირავებენ, რომ ქართველისათვის მიუწვდომელია. სომხებს მთელი ჯგუფები ჰყავდათ ჩამოყვანილი, რაც ჩემთვის მიუღებელია. **ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ლაპარაკობენ, რომ გვაქვს სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია. გაოგნებული ვარ, რატომ არ უნდა გამოვხატო ჩემი თავისუფალი აზრი. დიახ, საქართველოში უნდა განვითარდეს ტურიზმი, მაგრამ ის არ უნდა განვითარდეს მხოლოდ ერთ ერთან მიმართებაში.** ამ ტურიზმით ქართველებმა უნდა ნახონ ყველაზე დიდი სარგებელი. არც ნაცისტი ვარ და არც შოვინისტი, მაგრამ თავად განსაჯეთ. ჩემი მეგობარი ქობულეთში ჩამოვიდა სტუმრად. ვინაიდან ჩემს სასტუმროში (აქაც მხოლოდ ორ ნომერში ვცხოვრობდით ქართველები) ყველა ნომერი დაკავებული იყო, სხვაგან წავედით. მოვიარეთ 10-15 სასტუმრო, არსად ადგილები არ იყო და წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ყველა სასტუმროდან გამოვიდა სომეხი ეროვნების წარმომადგენელი, იმას ჩვენი ვერ გავაგებინეთ, ჩვენ მისი არ გვესმოდა, კაციშვილი არ იყო, რომ ჩვენთვის ქართულად გაეცა პასუხი... **აი, ეს იყო გამაღიზიანებელი, თორემ მე შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია, სომხებს პატივს ვცემ და ბევრი ნაცნობ-მეგობარიც მყავს სომეხი ეროვნების. პირადად მათ ჩემთვის არაფერი უთქვამთ და ნოდარ ლადარია რატომ შეწუხდა ასე, ვერ გავიგე.**

— როგორ გგონიათ, რატომ მომრავლდნენ მაინცდამაინც სომეხი ტურისტები საქართველოში?

— ეს უკვე მათი ბიზნესია, ისინი სასტუმროების გადამქირავებლები არიან, ჩამოჰყავთ თავისი კლიენტურა. როგორც იქ მითხრეს, სასტუმროს მეპატრონეები რამდენიმე თვით ადრე ურიგდებიან სომხებს და საკუთარ შენობებს უთმობენ. იმათ კი მთელი ჯგუფები ჩამოჰყავთ და დიდ სარგებელს ნახულობენ. **საქართველოში სომხების მასშტაბურმა მასპინძლობამ გამაღიზიანა.** ამ ტურისტებმა დაიკავეს ჩვენი ადგილი და ქართველებზე მეტი სარგებელიც ნახეს. ამაშია საქმე. ტურიზმის განვითარების შემთხვევაში სხვებთან ერთად უნდა ჩამოვიდნენ ფრანგები, იტალიელები, უკრაინელები და ა. შ. ასეთივე რეაქცია მექნებოდა, მაგალითად, მარტო ფრანგები რომ დამენახა. **ცალსახად ვამბობ, არავის არა აქვს უფლება, ჩემი აზრის გამოხატვა აკრძალოს.** მე არ ვარ ერთადერთი, ვინც ამას ამბობს, ყველა გაოცებულია ამ ამბით, ვინც წელს ქობულეთში დაისვენა. ვარ ერთი რიგითი ადამიანი, რომელმაც ამაზე კომენტარი გავაკეთე. ნუ იტყვით და ტელევიზიაში ამაზე მთელი სიუჟეტი ააგეს. **ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები ისე არ გაუშუქებიათ, როგორც ჩემი კომენტარი, ჯექსონსაც კი არ დაუთმეს ამდენი დრო.** მეგონა, ნოდარ ლადარია უფრო საქმიანი და დაკავებული პიროვნება იყო, მთელი გადაცემა ამ ამბავს მიუძღვნეს, აკეთა მათთვის მომგებიანი კომენტარები. ჟურნალისტიც ისე დამიკავშირდა და ისე მესაუბრა, რომ ჩემს აზრსაც ეთანხმებოდა და იზიარებდა, მერე კი ისე ააგეს სიუჟეტი, ისე მიჭრეს და მოჭრეს, გავოცდი. **ნოდარ ლადარიას შვილის თანატოლი ვარ, 26 წლის, რა საშიშროება დაინახეს ჩემში, ვერ ვხვდები. ბატონი ნოდარი უფრო დაკავებული მეგონა და „იმედიც“ — უფრო სერიოზული ტელევიზია.** პოლიტიკური ფიგურა რომ ვყოფილიყავი, ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკური განცხადების გამო დამიპირისპირდნენ. მე მსახიობი ვარ, გამოვხატავ ჩვეულებრივი ქართველის აზრს. ვთხოვ ყველას, ტაქტი შეინარჩუნონ და პირად შეურაცხყოფაზე ნუ გადავლენ, არავის აქვს უფლება, რაიმეში დამადანაშაულოს. **რაც შეეხება ქსენოფობიას.** ეს აბსოლუტურად არ არის კავშირში იმასთან, რაც მე ვილაპარაკე. ახლაც გავიმეორებ — სტუმარი კარგია, მიხარია, როდესაც ჩამოდის, მაგრამ **ჩვენს სამშობლოში მასპინძლები ჩვენ უნდა ვიყოთ** ისევე, როგორც საკუთარ სახლში უნდა ვიყო მასპინძელი! სტუმარ-მასპინძლობა არ მეშლება. ჩამოვიდნენ, დატკბნენ, მაგრამ მასპინძლებად არ გვექცნენ. **ძალიან მეჭვება, სომხეთში ამდენი უფლებები მიანიჭონ ქართველებს.** ერთსაც დავამატებ, მარტო ფეშენებელურ სასტუმროებზე რომ საუბრობენ, ააშენონ ისეთი სასტუმროებიც — საშუალო დონის, საშუალო ფენამ რომ შეძლოს მასში შესვლა და ცხოვრება.

— თქვენი სომეხი მეზობლები გაიცანით?

— საერთოდ, ისინი ერთმანეთთან კონტაქტობდნენ, თუმცა, ისინი, ვისი სახელებიც ასე ციტირებით ჩამოთვალეს: ახჩიკა, სლავიკა და არმენა, ნამდვილად გავიცანი და სასაცილო აქ არაფერია. ნამდვილად არ გავნაწყენდებოდი, ვინმეს რომ ეთქვა, ერევნის სასტუმროში გიორგიმ, ლევანმა და ირაკლიმ დაისვენესო. მე ჩვეულებრივი სომხური სახელები ჩამოვთვალე.

ძალიან ვთხოვ ყველას, სწორად გამიგონ: **დიდ პატივს ვცემ ყველა ერს, მაგრამ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს და იმაზე მეტის უფლება არ უნდა მისცენ საკუთარ თავს, რის უფლებასაც ჩვენ არ მოგვცემენ თავიანთ სამშობლოში.**

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თვითონ სასტუმროების ქართველი მეპატრონეებიც ბევრის უფლებას აძლევენ უცხოებს?

— რასაკვირველია, ჩვენ თუ არ მივცემთ ამის უფლებას, ისინი ამას ვერ გაბედავენ. ჩვენ მათ ქვეყანაში ისე ვერ მოვიქცევით, როგორც გვინდა, უბრალოდ, ისინი ამის უფლებას არ მოგვცემენ. ეს უნდა გვახსოვდეს!

ესაუბრა
ქეთევან ხამიტაშვილი